დასკვნა:

ქ. თბილისი. ნოდარ ბოხუას ქუჩა №1. საკ.კოდი: 01.13.01.014.003-ში მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მოსაზღვრე ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობის

კონსტრუქციულ მდგომარეობაზე გავლენის შესახებ.

(კორექტირებული პროექტის გათვალისწინებით)

ქ. თბილისი **2025 წლის 16 სექტემბერი**

შ.პ.ს. „ბიჯი”-ის დაკვეთით შესწავლილ იქნა ქ. თბილისში, ნოდარ ბოხუას ქუჩა №1, საკ.კოდი: 01.13.01.014.003-ში დაპროექტებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მომიჯნავედ საცხოვრებელი სახლების კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობა, დაპროექტებული სასტუმროს მშენებლობის დროს, შესწავლილი სახლების კონსტრუქციულ ელემენტებზე უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილებისა და შენობა-ნაგებობების შემდგომი უსაფრთხო ექსპლოატაციის მიზნით.

საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება ორი საკადასტრო ნაკვეთი, სადაც განლაგებული არიან სხვადასხვა ტიპის შენობა-ნაგებობები.

საპროექტო ტერიტორიას წინა და გვერდითი მხრიდან ესაზღვრება ასფალტირებული საავტომობილო გზა, რომელიც დაპროექტებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლიდან უმოკლესი 13 მეტრით და სხვა შემთხვევაში უფრო მეტი მანძილითაა მოშორებული და შესაბამისად მას არ განვიხილავთ როგორც მშენებლობის გავლენის ქვეშ მყოფ ობიექტს.

შესასწავლი ნაგებობა საკადასტრო ნაკვეთზე 01.13.01.014.064 წარმოადგენს ლითონის კონსტრუქციებით ნაგებ ვიტრაჟული ტიპის ერთსართულიან ნაგებობას, სადაც განთავსებულია ავტომობილების ინსპექტირების ცენტრი. შენობის კონსტრუქციული ელემენტები ნორმალურ მდგომარეობაშია. თვითონ შენობა საპროექტო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლიდან მოშორებულია 12.0 მეტრით და ეს ადგილი ავტომობილების შიდა ტერიტორიაზე გადასაადგილებლად გამოიყენება. (ფოტო 1)



შესასწავლი ნაგებობობა საკადასტრო ნაკვეთზე 01.13.01.014.002 წარმოადგენს ახლად აშენებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს, მრავალსართულიანია. ჩარჩოკავშირებიანი მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციების. შენობის კონსტრუქციული ელემენტები ნორმალურ მდგომარეობაში იმყოფებიან. მოშორებულია საპროექტო შენობიდან 60.0 მეტრით.



საკადასტრო ნაკვეთი 01.13.01.014.053 ცარიელია, მასზე შენობა ნაგებობები არ იმყოფება.

შესასწავლი ნაგებობობა 01.13.01.014.062 წარმოადგენს რკინაბეტონის კონსტრუქციებით ნაგებ ვიტრაჟული ტიპის სამსართულიან ნაგებობას, სადაც განთავსებულია თერმოინდუსტრიის კომპანია. შენობის კონსტრუქციული ელემენტები ნორმალურ მდგომარეობაშია. თვითონ შენობა საპროექტო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლიდან მოშორებულია 9.0 მეტრით და ეს ადგილი ავტომობილების შიდა ტერიტორიაზე გადასაადგილებლად გამოიყენება.



საკადასტრო ნაკვეთზე 01.13.01.014.070 მიმდინარობს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, გათხრილია ქვაბული, მოწყობილია რკინაბეტონის საძირკვლის ფილა და მიმდინარეობს პარკინგის სართულის სამონტაჟო სამუშაოები. ქვაბული დაპროექტებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლიდან მოშორებულია 30.0 მეტრით.

საპროექტო შენობა ჩვიდმეტმეტსართულიანია ერთი მიწისქვეშა პარკინგით, რომელიც მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლის ფილის საშუალებით ეყრდნობა კენჭნარ გრუნტს, ფენა 2, (იხილეთ საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა). საპროექტო მოცემულობებიდან გამომდინარე ქვაბულის ჩაღრმავება მიწის ზედაპირიდან განისაზღვრა 4.80 მეტრით. შენობის განლაგება საპროექტო ტერიტორიაზე საშუალებას იძლევა ქვაბულის ფერდების ბუნებრივი ქანობით მოწყობას მხოლოდ გეგმის ორ მხარეს, ხოლო დანარჩენ ორ მხარეს საჭირო ხდება ფერდების ვერტიკალურად (90 გრადუსით) მოწყობა, ესაა 01.13.01.014.062 და 01.13.01.014.062 საკადასტრო

ტერიტორიების მიმდებარედ და გარკვეული რისკების თავიდან აცილების მიზნით ქვაბულის აღნიშნულ მხარეებში დაპროექტებულია ხიმინჯების მწკრივი, რათა თავიდან აცილებული იქნეს საცხოვრებელი სახლის მშენებლობისა და შემდგომი მისი ექსპლოატაციის დროს რაიმე სახის არასასურველი ურთიერთგავლენა კონსტრუქციული ელემენტების ნორმალური ექსპლოატაციის თვალსაზრისით.

(იხილეთ ქვაბულის გეგმა. თან ახლავს დასკვნას).

ასაშენებელმა მშენებარე მრავალბინიანმა საცხოვრებელმა სახლმა განიცადა კორექტირება, კორექტირების შედეგად პარკინგის სართულზე ჩამატებული იქნა მონოლითური რკინაბეტონის კედელი. შიდაგეგმერების ნაწილში აღნიშნული ცვლილება უმნიშვნელოა კონსტრუქციული თვალსაზრისით და მიმდებარე საკადასტრო ერთეულებზე მდებარე შენობა-ნაგებობებზე გავლენას ვერ მოახდენს.

დასკვნა:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტს მიაჩნია, რომ, ქ. თბილისში, ნოდარ ბოხუას ქუჩა №1, საკ.კოდი: 01.13.01.014.003-ში კორექტირებული პროექტით ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ხარისხიანად შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების პირობებში დაცული და შენარჩუნებული იქნება საპროექტო შენობის მიმდებარედ შენობა-ნაგებობების კონსტრუქციული ელემენტების დღეისათვის არსებული როგორც მზიდუნარიანობა ასევე მდგრადობა, ახალი მშენებლობის დასრულების შემდეგაც შენარჩუნებული იქნება მათი ექსპლოატაციის დღეისათვის არსებული პირობები.

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი თ. ბენდელიანი

bendelianit@yahoo.com

ტ: 595-96-76-54

(თან ახლავს ქვაბულის გეგმა)